ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

ს/ს ენერგო-პრო ჯორჯია
O.№ 2273056
„25" 06 2019
JSC ENERGO-PRO GEORGIA

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს
მის.: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 6.

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს მიერ იგეგმება ქ. ზუგდიდში, ქაღალდ-კომბინატის მიდამოების მახლობლად მდებარე „110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი -1ა"-ს აღდგენა". აღნიშნულ ეგხ-ს მოიცავს „დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალის მაღალი ძაბვის (35კვ და მეტ) საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების (110 კვ და მეტი ძაბვის) მიმდინარე საქმიანობაზე" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2009 წლის 27 აპრილის №44 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №00212.

პროექტი ითვალისწინებს - 110 კვ ძაბვის ეგხ „ჯვარი - 1ა"-ს ტრასაზე არსებული 10 ცალი ფოლადის უნიფიცირებული საანკერო-კუთხური საყრდენის გამოყენებას. აქედან არსებული 8 ცალი საყრდენი არ იცვლება, 2 საყრდენს ეცვლება ადგილმდებარეობა და მონტაჟდება 7 ცალი ახალი, უნიფიცირებული და სპეციალური კონსტრუქციის საყრდენი.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო ეგხ ცვლის არსებული ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანს და იცვლება ექსპლუატაციის პირობები, პროექტი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, წარმოადგენს კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ „110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი -1ა"-ს აღდგენის პროექტის" სკრინინგის ანგარიშს.

დანართი: CD დისკი:

- 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი -1ა"-ს აღდგენის პროექტის" სკრინინგის ანგარიში;
- 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი -1ა"-ს პროექტის კოორდინატები (Shp ფაილები).

პატივისცემით,

მიხეილ ბოცვაძე
გენერალური დირექტორი

№ 9196
„25" 06 2019
1 ფ.

შემს: მარიამ ღვინიანიძე/ტელ: 577 35 05 77